



საქართველოს თავდაცვის მინისტრის
ბრძანება

ქ. თბილისი



MOD 8 17 00000961

05/12/2017

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში საქართველოს სახელმწიფო დროშის
გამოყენებისა და დაცვის წესის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს სახელმწიფო დროშის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა და „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 22 ნოემბრის N297 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში საქართველოს სახელმწიფო დროშის გამოყენებისა და დაცვის წესი“.
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

მინისტრი
ლევან იზორია

**საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში საქართველოს სახელმწიფო
დროშის გამოყენებისა და დაცვის წესი**

მუხლი 1

ეს წესი განსაზღვრავს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში საქართველოს სახელმწიფო დროშის გამოყენებისა და დაცვის წესს.

მუხლი 2

1. საქართველოს სახელმწიფო დროშა (შემდგომში - სახელმწიფო დროშა) მუდმივად აღიმართება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი სტრუქტურული ერთეულების (შემდგომში - ერთეულები) ადმინისტრაციულ შენობებზე.
2. სახელმწიფო დროშა შეიძლება აღიმართოს:
 - ა) ერთეულების ტერიტორიაზე (დისლოკაციის ადგილზე);
 - ბ) სამხედრო სასაფლაოს ტერიტორიაზე;
 - გ) დაღუპულ გმირთა მემორიალზე, სადაც სრულდება საპატიო განწესი.

მუხლი 3

სახელმწიფო დროშა აღიმართება და გამოიფინება ერთეულებში მიმდინარე ყველა სახელმწიფო ღონისძიებაზე სათათბირო და საკონფერენციო ოთახებში.

მუხლი 4

1. სახელმწიფო დროშას საქართველოს ტერიტორიაზე ყველა დროშასთან მიმართებით ენიჭება უპირატესობა და საპატიო ადგილი.
2. სახელმწიფო დროშა აღიმართება და გამოიფინება მხოლოდ საპატიო ადგილას.
3. სახელმწიფო დროშა აღმართვისას იშლება და ფრიალისას არ ეხება მიწას, წყალს, კედელს ან რაიმე სხვა საგანს.
4. ოფიციალური ღონისძიებისას, სახელმწიფო დროშა შენობაში შეაქვთ აღმართული.
5. სახელმწიფო ღონისძიებისას, სახელმწიფო დროშა აღიმართება და დაეშვება სახელმწიფო ჰიმნის თანხლებით.

მუხლი 5

სახელმწიფო დროშა დაეშვება სამი დღე - ღამით:

- ა) გლოვისას;

- ბ) სამხედრო წვრთნისას ან საბრძოლო ამოცანის შესრულებისას სამხედრო მოსამსახურის დაღუპვის ან უგზო-უკვლოდ დაკარგვის შემთხვევაში;
- გ) „საქართველოს შეიარაღებული ძალების სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ საერთაშორისო ოპერაციებში მონაწილეობის ან სხვა სახის სამშვიდობო საქმიანობის განხორციელების დროს ან ამ მისიებში მიღებული ჯანმრთელობის დაზიანების გამო სამხედრო მოსამსახურის გარდაცვალების შემთხვევაში;
- დ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლით განსაზღვრული პირების ხსოვნის უკვდავყოფის მიზნით მიძღვნილი ღონისძიებების დროს.

მუხლი 6

გლოვის დროს სახელმწიფო დროშა:

- ა) დაშვებულია ფლაგშტოკის 1/3 სიმაღლით და აღმართულია ფლაგშტოკის 2/3 სიმაღლეზე;
- ბ) აღიმართება ფლაგშტოკის ბოლომდე და უკვე შემდეგ დაეშვება ფლაგშტოკის 1/3 სიმაღლით, ფლაგშტოკის 2/3 სიმაღლეზე;
- გ) დაშვებულია ფლაგშტოკის 1/3 სიმაღლით და ფლაგშტოკის 2/3 სიმაღლეზე აღმართული სახელმწიფო დროშა აღიმართება და უკვე შემდეგ დაეშვება და ჩამოიხსნება;
- დ) სახელმწიფო დროშისა და სხვა სახელმწიფოს დროშის აღმართვისას, სახელმწიფო დროშა აღიმართება შავი ბაფთით, რომლის სიგრძეც სახელმწიფო დროშის სიმაღლის 1/2-ს არ აღემატება.

მუხლი 7

სახელმწიფო დროშის დაცვისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება უზრუნველყონ ერთეულების ხელმძღვანელებმა.